



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მახალდიანი ვახტანგ ვასილის ძე



ვ. ვ. მახალდიანი

მახალდიანი ვახტანგ ვასილის ძე [8 (21). I. 1911, სოფ. მლეთა, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, - 4. XII. 1982, თბილისი], მეცნიერი მანქანათმშენებლობის დარგში, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), ტექ. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1955), მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1961), საქართვე. სახელმწ. (1971, 1981) და გ. ნიკოლაძის სახ. პრემიების (1978) ლაურეატი, საქართვე. მეცნ. აკად. გამოყენებითი მექან. და მართვის პროცესების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი (1954), ქართ. საბჭ. ენციკლოპედიის მთ. სარედაქციო კოლეგიის წევრი, II მსოფლიო ომის (1939-45) მონაწილე.

ამიერკავკ. ენერგეტიკული ინ-ტის დამთავრების (1932) შემდეგ, 1934-იდან მუშაობა დაიწყო თბილ. სას.-სამ. მანქანების ქ-ნაში მთ. ინჟინრად. იყო საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგე (1938-იდან). მ-ის ძირითადი სამეცნ. ნაშრომები ეძღვნება შიგანვის ძრავების თბურ პროცესებს. ფართოდ გავრცელდა მის მიერ დამუშავებული მაღალმთის პირობებში მომუშავე ძრავას თბური გაანგარიშების მეთოდი და არასრული დატვირთვით მომუშავე ძრავას დროსელირების თეორია. შექმნა კუმშვის ხარისხის ავტომ. რეგულირების ძრავა, დაამუშავა მისი თეორია და გაანგარიშების მეთოდები, აგრეთვე როტაციული (მოცულობითი და რეაქტიული) ძრავების მუშაობის პრინციპები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თბმ.: შიგანვის ძრავების თეორია (სახელმძღვანელო), თბ., 1971; О двигателях для горных автомобилей и тракторов, Тб., 1968; Механическая тяга в горной местности, М.1970 (თანაავტ. Р.Р.Двали); Двигатели внутреннего сгорания с автоматическим регулированием степени сжатия, Тб., 1973 (თანაავტ. И.Ф.Эджибия, А.М.Леонидзе).

---